

ფინეთის საიმიგრაციო სამსახურში თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვნის თავშესაფრის გასაუბრება

თქვენ მოწვეული ხართ თავშესაფრის გასაუბრებაზე ფინეთის საიმიგრაციო სამსახურის მიერ. ეს ინსტრუქციები იძლევა ინფორმაციას გასაუბრების დროს თქვენი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ გაიარეთ ისინი თქვენს წარმომადგენელთან ერთად თუ თქვენთვის რაიმე გაუგებარია, მოითხოვეთ მეტი ინფორმაცია თქვენი წარმომადგენლისგან ან თქვენი გასაუბრების დაწყებისას - ფინეთის საიმიგრაციო სამსახურის თანამშრომლისგან.

რა არის გასაუბრების მიზანი?

- თქვენ თავშესაფარზე შეიტანეთ განაცხადი ფინეთში. გასაუბრებაში განხილული იქნება მიზეზები, თუ რატომ ეძებთ თავშესაფარს ფინეთში და რატომ ვერ დაბრუნდებით თქვენს სამშობლოში
- მნიშვნელოვანია, რომ ამ გასაუბრებისას ახსნათ თქვენი განაცხადის ყველა კრიტერიუმი. თუ გასაუბრების შემდეგ ახალი კრიტერიუმები გექნებათ ან გსურთ ახალი ინფორმაციის მიწოდება თქვენს ადრინდელ კრიტერიუმებთან დაკავშირებით, გთხოვთ დაუყოვნებლივ აცნობოთ ფინეთის საიმიგრაციო სამსახურს ან სასამართლოს, რომელიც ამუშავებს თქვენს თხოვნას ამ საკითხის შესახებ.

თქვენი უფლებები გასაუბრებისას

- თქვენი წარმომადგენელი თქვენთან ერთად მოვა გასაუბრებაზე
- თქვენ გაქვთ უფლება გასაუბრებაზე თან იყოლიოთ იურიდიული მრჩეველი
- თუ მრჩეველი გჭირდებათ, თქვენი წარმომადგენელი გიპოვით გასაუბრებისთვის. თუ თქვენი წარმომადგენელი გასაუბრებისთვის მრჩეველს ვერ გიპოვით, მის გარეშე შეიძლება გაგრძელდეს გასაუბრება.
- გასაუბრებას დაესწრება თარჯიმანი. თარჯიმანი ობიექტურად გადმოსცემს ყველაფერს რაც გასაუბრებისას ითქმება. თარჯიმანი ან გასაუბრების ოთახში იქნება, ან ტელეფონით ან ვიდეო ბმულის საშუალებით თარგმნის
- ინტერვიუერი, თარჯიმანი, წარმომადგენელი და იურიდიული მრჩეველი ვალდებული არიან დაიცვან კონფიდენციალურობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ არ აქვთ უფლება სხვებთან ისაუბრონ იმაზე, რასაც გასაუბრების დროს მოისმენენ. თქვენთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ასევე კონფიდენციალურია. ამასთან, იმ საკითხებმა, რომელთა შესახებაც გასაუბრებისას გვიამბობთ, შესაძლოა გავლენა იქონიოს თქვენი ოჯახის წევრის განაცხადის დამუშავებაზე. ამ შემთხვევებში, ჩვენ გავითვალისწინებთ საკითხებს თქვენი ოჯახის წევრის საქმეში. ამასთან, ჩვენ შეგვიძლია საიდუმლოდ შევინახოთ ინფორმაცია თქვენი ოჯახის წევრისგან, თუ მათთვის ინფორმაციის მიცემა რისკის ქვეშ დაგაყენებთ თქვენ ან თქვენს საყვარელ ადამიანს ან ზიანს მოგაყენებთ. თქვენ შეგიძლიათ გასაუბრებისას გვითხრათ რას ფიქრობთ ამაზე.
- ფინეთის საიმპერაციო სამსახურმა შეიძლება სცადოს თქვენი ნამდვილი მეურვის პოვნა ან მოძიება. ნამდვილი მეურვე ნიშნავს ადამიანს, რომელიც თქვენს სამშობლოში გივლიდათ. თქვენი ფაქტობრივი მეურვის მოკვლევისთვის გამოყენებული იქნება მხოლოდ მოკვლევისთვის საჭირო ინფორმაცია. ფინეთის საიმპერაციო სამსახური განახორციელებს მოკვლევას ისე, რომ არ მოგადგეთ ზიანი თქვენ ან თქვენს ოჯახს.

თქვენი ვალდებულებები გასაუბრებისას

- თქვენ გაქვთ ვალდებულება განიხილოთ და მიაწოდოთ ინფორმაცია თავშესაფრის მოთხოვნის მიზეზების შესახებ გასაუბრებისას ილაპარაკოთ ყველაფერზე, რაც დაკავშირებულია თქვენს განაცხადთან.
- ასევე თქვენს ინტერესებში შედის რთული საკითხების განხილვა. ეს შეიძლება გადაამწყვეტი იყოს თქვენი განაცხადისთვის.
- თქვით სიმართლე. თუ არ გახსოვთ, ან რამე არ იცით, ნუ ეცდებით პასუხის გამოგონებას. უთხარით ინტერვიუერს, რომ არ იცით ან არ გახსოვთ თუ სიმართლეს არ ამბობთ, ამან შეიძლება გაართულოს თქვენი ამბის დაჯერება.
- გასაუბრებისას თქვით თქვენი ნამდვილი სახელი და დაბადების თარიღი. თუ არ გაქვთ რაიმე დოკუმენტი თქვენი პირადობის დასადასტურებლად, მაქსიმალურად უნდა შეეცადოთ მიიღოთ ეს დოკუმენტები და მიაწოდოთ ფინეთის საიმპერაციო სამსახურს. ასეთი დოკუმენტების მაგალითებია პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები ან სამგზავრო დოკუმენტი. თუმცა, ფინეთის საიმპერაციო სამსახურს არ შეუძლია გააკეთოს ისეთი რამ

დოკუმენტების მისაღებად, რაც თქვენს თქვენი საყვარელი ადამიანების უსაფრთხოებას რისკის ქვეშ დააყენებს. თუ მოგვიანებით გენდომებათ შეცვალოთ თქვენი პირადი ინფორმაცია, დაგჭირდებათ პასპორტი ან პირადობის სხვა ოფიციალური მოწმობა.

- ფინეთის საემიგრაციო სამსახურის ინახავს თქვენს პირადი ინფორმაციას და თქვენი განაცხადის საფუძვლებს საემიგრაციო საკითხების საქმის მართვის სისტემაში, რომელიც არის ოფიციალური რეესტრი. ოფიციალური რეესტრისთვის ცრუ ინფორმაციის მიცემა დასჯადი დანაშაულია. ფინეთში, 15 წლის ან უფროსი ასაკის პირები პასუხისმგებლები არიან დანაშაულზე.
- უფლებამოსილი პირისთვის ყალბი პირადი ინფორმაციის მიწოდება სამართლებრივი დანაშაული და ისჯება კანონით ფინეთში, 15 წლის ან უფროსი ასაკის პირები პასუხისმგებლები არიან დანაშაულზე.
- გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ყალბი პირადი ან სხვა ინფორმაციის მიწოდებამ ან ინფორმაციის დამალვამ შეიძლება გამოიწვიოს უკვე გაცემული ნებართვის გაუქმება და გაართულოს ნებისმიერი სხვა საქმე, რაც შეიძლება გქონდეთ

როგორ მოემზადოთ გასაუბრებისთვის

- წარმომადგენელთან ერთად წაიკითხეთ ყველა ინსტრუქცია და ბროშურა, რომელიც ხელისუფლებისგან გასაუბრებამდე მიიღეთ მნიშვნელოვანია, რომ თქვენ ასევე წაიკითხოთ ჩვენი ბროშურები დუბლინის პროცედურის შესახებ თუ ეს ბროშურები არ გაქვთ, მათი ნახვა შეგიძლიათ ფინეთის საიმეგრაციო სამსახურის ვებგვერდზე migri.fi/en/brochures, სათაურით "თავშესაფარი და დუბლინის პროცედურა".

თუ თქვენ გაქვთ გასამართლებელი მიზეზი ითხოვთ რომ თარჯიმანი ან ინტერვიუერი იყოს კაცი ან ქალი, თქვენს წარმომადგენელს კარგად აუხსენით გასაუბრების დაწყებამდე. ისინი აცნობებენ ფინეთის საიმეგრაციო სამსახურს თქვენი სურვილების შესახებ. ფინეთის საიმეგრაციო სამსახური შეაფასებს, გამართლებულია თუ არა მიზეზი.

- თუ თქვენს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით არის რაღაც, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ინტერვიუზე, წინასწარ აცნობეთ თქვენს წარმომადგენელს ან მიმღები ცენტრის თანამშრომელს.
- თქვენი მიღების ცენტრი უზრუნველყოფს თქვენს გასაუბრებაზე დასწრებას. წინასწარ დაგეგმეთ თქვენს მოგზაურობის საკითხები ინსტრუქტორებთან ერთად.
- თქვენს მიმღებ ცენტრს სთხოვეთ მოგცეთ შეფუთული ლანჩი ან ფული ლანჩისთვის, რომ თან იქონიოთ.
- თან იქონიეთ ნებისმიერი წამალი, რომელიც დღის განმავლობაში გჭირდებათ
- თან იქონიეთ თქვენს განაცხადთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი და მტკიცებულება.

რა უნდა გააკეთოთ ფინეთის საიმიგრაციო სამსახურის ოფისში თქვენი გასაუბრების დღეს

- თქვენ არ შეგიძლიათ შეცვალოთ გასაუბრების თარიღი სათანადო მიზეზის გარეშე. თუ გასაუბრების დღეს ავად ხართ, ამის შესახებ მაშინვე უთხარით თქვენს მიმღებ ცენტრს. თქვენმა წარმომადგენელმა უნდა გაგზავნოს მედლის ან ექიმის მიერ მიწოდებული ცნობა ფინეთის საიმიგრაციო სამსახურის მიმღებ ცენტრში გასაუბრების თარიღიდან არაუგვიანეს ერთი კვირის ვადაში. თუ თავშესაფრის გასაუბრებას სათანადო მიზეზის გარეშე გააცდენთ, გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია თქვენთან გასაუბრების გარეშე.
- თქვენი წარმომადგენელი და მრჩეველი თქვენთან ერთად იქნებიან გასაუბრებისას.
- ფინეთის საიმიგრაციო სამსახურის შენობაში შესვლისას შეიძლება დაგჭირდეთ უსაფრთხოების შემოწმების გავლა.
- ფინეთის საემიგრაციო სამსახურის დაცვას აჩვენეთ მომხმარებლის ბარათი, რომელიც მიმღები ცენტრისგან მიიღეთ.
- მხოლოდ გასაუბრებაზე მოწვეულ ადამიანებს და ფინეთის საიმიგრაციო სამსახურის მიერ წინასწარ დამტკიცებულ სხვა ადამიანებს აქვთ უფლება შევიდნენ მოსაცდელ ზონაში.
- თუ გსურთ დამხმარე პირის წამოყვანა, თქვენმა წარმომადგენელმა ან დამხმარე პირმა გასაუბრების დაწყებამდე წერილობით უნდა სთხოვოს ფინეთის საიმიგრაციო სამსახურს ამის შესახებ წინააღმდეგ შემთხვევაში, ინტერვიუერი გასაუბრების დასაწყისში გადაწყვეტს, თქვენს დამხმარე პირს მისცეს თუ არა გასაუბრებაზე დასასწრების ნებართვა. თქვენი დამხმარე პირი არ არის თქვენი იურიდიული მრჩეველი და არ მიიღებს მონაწილეობას საქმის გამოძიებაში.
- თქვენს გასაუბრებას ჩაატარებს ფინეთის საიმიგრაციო სამსახურის თანამშრომელი. ეს თანამშრომელი ან პირადად იქნება იქ, ან გაგესაუბრებთ ვიდეო ბმულის საშუალებით.
- ინტერვიუერი მოსაცდელი ზონიდან წაგიყვანთ თქვენ, თქვენს წარმომადგენელს და იურიდიულ მრჩეველს
- ინტერვიუ ჩაიწერება. გარდა ამისა, ოთახი აღჭურვილია CCTV კამერით
- ინტერვიუ შეიძლება მთელი დღე გაგრძელდეს. საჭიროების შემთხვევაში იქნება ლანჩის შესვენება და სხვა შესვენებები. თქვენ შეგიძლიათ შესვენება ნებისმიერ დროს ითხოვოთ
- საჭიროების შემთხვევაში, გასაუბრება სხვა დღეს გაგრძელდება. ასეთ შემთხვევაში, თქვენ მიიღებთ ახალ მოწვევას გასაუბრებაზე გარკვეული დროის შემდეგ.

რა ხდება გასაუბრების დროს?

- პირველ რიგში, ინტერვიუერი გეტყვით რა ხდება გასაუბრების დროს და დარწმუნდით, რომ გაიგეთ თქვენი უფლებები და ვალდებულებები. თუ რამე ვერ გაიგეთ, გთხოვთ იკითხოთ თუ თარჯიმანის არ გესმით, გთხოვთ ინტერვიუერს აცნობოთ
- თუ თქვენი დეტალური პირადი ინფორმაცია ადრე არ შეგროვებულა, ინტერვიუერი ჯერ ამ ინფორმაციას ითხოვს. ინტერვიუერი იკითხავს, ვინ არის თქვენი ოჯახი, სად ცხოვრობდით

და რა მარშრუტით ჩამოხვედით ფინეთში ისინი ასევე გკითხავენ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს თქვენი ფინეთის განაცხადის დამუშავებაზე ან არ დამუშავებაზე.

- შემდეგ გამოიკითხებით იმის შესახებ, თუ რატომ უნდა გამოფრენილიყავით თქვენი მშობლიური ქვეყნიდან და რატომ ვერ დაბრუნდებით იქ. ისაუბრეთ გულწრფელად და რაც შეიძლება დეტალურად ყველაფერზე რაც შეგემთხვათ.
- ინტერვიუერი დაგისვამთ შემდგომ კითხვებს თქვენს მიერ განხილული მოვლენების შესახებ.

უპასუხეთ გულწრფელად. არ მოიგონოთ პასუხები აცნობეთ ინტერვიუერს, თუ რამე არ იცით ან არ გახსოვთ

- გარკვეული ზოგადი კითხვები ხვდება თავშესაფრის ყველა მაძიებელს. ინტერვიუერი ასევე დაგისვამთ კითხვებს, როგორიცაა ის, თუ როგორ იგრძნობთ თავს ქვეყნიდან გაძევების ან შესვლის აკრძალვის შემთხვევაში.
- თქვენმა წარმომადგენელმა და იურიდიულმა მრჩეველმა არ შეიძლება უპასუხოს კითხვებს თქვენი სახელით მათ შეუძლიათ მოგცეთ რჩევა ინტერვიუს დროს და შეგახსენოთ მნიშვნელოვანი რამეები, რაც ადრე უთხარით.
- გასაუბრებისას შეგიძლიათ ფინეთის საემიგრაციო სამსახურს მიაწოდოთ ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს თქვენი საქმის გადაწყვეტაზე. მაგალითად,, თუ ფინეთში დანაშაულში ხართ ეჭვმიტანილი, ან თუ ამ ქვეყანაში დანაშაულისთვის ხართ ნასამართლევი, ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს ფინეთის საემიგრაციო სამსახურში თქვენი საქმის დამუშავებაზე. საჭიროების შემთხვევაში, ფინეთის საემიგრაციო სამსახური მოგცემთ საშუალებას გასაუბრებისას ამ საკითხზე თქვენი აზრი გამოთქვით.
- ინტერვიუერი კომპიუტერში გააკეთებს ჩანაწერებს იმაზე თუ რა ითქვა გასაუბრების დროს. ამ ჩანაწერებს ოქმი ეწოდება. გასაუბრების ბოლოს თარჯიმანი წაგიკითხავთ ოქმს. თუ ოქმში რაიმე შეცდომას შეამჩნევთ, უთხარით ინტერვიუერს. ასევე შეგიძლიათ ოქმში დამატებები შეიტანოთ. შემდეგ ოქმი გაფორმდება ხელმოწერით და მისი ასლი გადაეცემა თქვენს წარმომადგენელს.

როგორ მიიღებს გადაწყვეტილებას ფინეთის საემიგრაციო სამსახური?

- თქვენი განაცხადის საფუძველზე, შეიძლება მოგცეთ საერთაშორისო დაცვა ან ბინადრობის ნებართვა პირადი ჰუმანიტარული მიზეზის გამო ან იმის გამო, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლი იყავით.
- ფინეთის საემიგრაციო სამსახური მიიღებს გადაწყვეტილებას თქვენს საქმეზე თქვენს მიერ თავშესაფრის გასაუბრებისას მოწოდებული ინფორმაციისა და თქვენს საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებების საფუძველზე. ფინეთის საემიგრაციო სამსახურს ასევე შეუძლია გამოიყენოს საჯარო წყაროები ინფორმაციის მოსაძებნად, რომელიც გაამყარებს მის გადაწყვეტილებას.
- საჭიროების შემთხვევაში, ფინეთის საემიგრაციო სამსახური შეიძლება დაუკავშირდეს თქვენს მშობლიურ ქვეყანას თქვენი დოკუმენტების ნამდვილობის გადამოწმების მიზნით.

თქვენს სამშობლოში ხელისუფლებამ არ იცის ამის შესახებ და გადამოწმების პროცესი საფრთხეს არ შეუქმნის თქვენ ან თქვენს ოჯახს.

- თუ გსურთ მოგვიანებით მიაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია, გადაეცით თქვენს წარმომადგენელს ან მრჩეველს, რომელიც მას ფინეთის საიმიგრაციო სამსახურს გადასცემს. ჩვენ არ განვიხილავთ თქვენს საქმეს ტელეფონით, რადგან ვერ დავადგენთ მოსაუბრის ვინაობას.
- თუ თქვენი განაცხადი უარყოფილია, შეიძლება იქნათ დეპორტირებული და აგეკრძალოთ ფინეთში და შენგენის შეთანხმების წევრ სხვა ქვეყნებში შესვლა.
- თუ გექნებათ ახალი კრიტერიუმები, თავშესაფრის მისაღებად თქვენს საქმეზე ფინეთის საიმიგრაციო სამსახურის მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ, დაუყოვნებლივ წარადგინეთ ახალი განაცხადი უნდა გქონდეთ ახალი კრიტერიუმების ადრე არ დასახელების მიზეზი. მიზეზი უნდა იყოს იმის მსგავსი რომ ძალა ვერ დაატანეთ საკუთარ თავს. შემდეგ ფინეთის საიმიგრაციო სამსახური გადაწყვეტს გამოიკვლევს თუ არა ის თქვენს ახალ განაცხადს.